

სესხის (კრედიტის) ხელშეკრულება N თარიღი:

მხარეები:

ერთის მხრივ, გამსესხებელი - ქვემოთ მითითებული ტერმინის მიხედვით;

მეორეს მხრივ, მსესხებელი - ქვემოთ მითითებული ტერმინის მიხედვით.

ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.

მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებში, წინამდებარე სესხის (შემდგომში: სესხის ან/და კრედიტის ხელშეკრულება) ხელშეკრულებაში და სესხის ხელშეკრულების დადებასა და შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე მხარეების მიერ გაფორმებულ სხვა დოკუმენტებში, რომელიც დაკავშირებულია სასესხო ურთიერთობებთან, გამოყენებულ ტერმინებს და განმარტებებს აქვთ ქვემოთ განსაზღვრული მნიშვნელობა გარდა, იმ შემთხვევებისა, როდესაც დოკუმენტის კონტექსტიდან აშკარად სხვა რამ გამომდინარეობს. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:**

1.1. **გამსესხებელი** (შემდგომში „გამსესხებელი ან/და კრედიტორი“) - სს „სილქ როუდ ბანკი“ ს/ნ - 201955027; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N2;

1.2. **კრედიტორის ელ. ფოსტის მისამართი** - ელექტრონული ფოსტის მისამართი silkloan@silkroadbank.ge, რომელზეც მსესხებელს შეუძლია გააგზავნოს სხვადასხვა საინფორმაციო განაცხადები, ასევე ელექტრონული მისამართი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მსესხებელს დაეგზავნოს სხვადასხვა სახის, მათ შორის, სარეკლამო საინფორმაციო ელექტრონული შეტყობინებები;

1.3. **ვებ-გვერდი** - კრედიტორის ვებ-გვერდი www.silkloan.ge, რომლის საშუალებითაც მსესხებელს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს კრედიტის პირობებს (საკრედიტო პროდუქტს), კრედიტის ხელშეკრულებას და მის დებულებებს, კრედიტის მნიშვნელოვან და სპეციალურ პირობებს, საკრედიტო ხელშეკრულების თავსართს და დანართს, კრედიტის განაცხადის ფორმას. ასევე, რომლის მეშვეობითაც მსესხებელს აქვს შესაძლებლობა ვებ-გვერდზე დაარეგისტრიროს პირადი პროფილი (კაბინეტი), რომლის მეშვეობითაც ავსებს განაცხადს სესხის მიღებაზე, გასცემს თანხმობებს პერსონალური ინფორმაციის მოპოვებაზე/შენახვაზე/დამუშავებაზე/გადაცემაზე, გასცემს თანხმობას კრედიტინფოში საკრედიტო ისტორიის გადამოწმებაზე და ამავე ბაზაში საკრედიტო ინფორმაციის განთავსებაზე, იღებს ვერიფიკაციის პერსონალურ კოდს, ეთანხმება სასესხო პირობებს და სესხის ხელშეკრულებას, ახორციელებს სესხის პროდუქტთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებებს, რაც ასახულია სესხის გაცემის პროცედურებში და სასესხო პროდუქტში.

1.4. **მსესხებლის პირადი პროფილი (კაბინეტი)** - ვებ-გვერდზე www.silkloan.ge, მსესხებლის მიერ პერსონალური მონაცემების რეგისტრაციის შედეგად შექმნილი პირადი პროფილი (კაბინეტი), რომლის აქტივაცია ხდება მსესხებლის მიერ მითითებული მომხმარებლის და პაროლის შეყვანის შემდეგ. პირადი პროფილის (კაბინეტის), საშუალებით მსესხებელს აქვს შესაძლებლობა, წარადგინოს სესხის განაცხადი, გაეცნოს კრედიტის პირობებს (საკრედიტო პროდუქტს), კრედიტის ხელშეკრულებას და მის დებულებებს, კრედიტის მნიშვნელოვან და სპეციალურ პირობებს, საკრედიტო ხელშეკრულების თავსართს და დანართს, კრედიტის განაცხადის ფორმას, შეავსოს განაცხადი სესხის მისაღებად, გასცეს თანხმობები პერსონალური ინფორმაციის მოპოვებაზე/შენახვაზე/დამუშავებაზე/გადაცემაზე, გასცეს

თანხმობა კრედიტინფოში საკრედიტო ისტორიის გადამოწმებაზე და ამავე ბაზაში საკრედიტო ინფორმაციის განთავსებაზე, მიიღოს ვერიფიკაციის პერსონალური კოდი, გარიგების კოდი, დაეთანხმოს სასესხო პირობებს და სესხის ხელშეკრულებას, განახორციელოს სესხის პროდუქტთან დაკავშირებული სხვა მოქმედებები, რაც ასახულია სესხის გაცემის პროცედურებში და სასესხო პროდუქტში.

1.5. **გამსესხებლის საბანკო ანგარიში** – გამსესხებლის საბანკო ანგარიში რომელიც მითითებულია გამსესხებლის ვებ-გვერდზე და რომელზეც მსესხებელი რიცხავს აქცეპტის თანხას. ანგარიშის ნომრის ცვლილებისას, ცვლილება განთავსდება გამსესხებლის ვებ-გვერდზე ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით ეცნობება მსესხებელს;

1.6. **სასესხო პროდუქტი** - მსესხებლის დაკრედიტების პირობები;

1.7. **განმცხადებელი** - სესხის მაძიებელი პოტენციური მსესხებელი ფიზიკური პირი, რომელიც ავსებს სასესხო განაცხადს, და განაცხადზე დადებითი პასუხის მიღებისას პირი რომელიც ხდება მსესხებელი;

1.8. **მსესხებელი** – ვებ-გვერდზე, მსესხებლის პირადი პროფილით (კაბინეტით) შევსებულ განაცხადში დაფიქსირებული და გამსესხებლის გადამწვეტილებით დასაკრედიტებელი (საკრედიტო პროდუქტის მიმღები) ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს საკრედიტო პროდუქტით დადგენილ მოთხოვნებს/კრიტერიუმებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომელზეც გამსესხებელი გასცემს სესხს ამ ხელშეკრულების და საკრედიტო პროდუქტით დადგენილი პირობების შესაბამისად; ასევე, პირი, რომლის საიდენტიფიკაციო და პერსონალური მონაცემები მითითებულია სესხის განაცხადში, შევსებულია გამსესხებლის ვებ-გვერდის მეშვეობით და პირი რომელსაც გავლილი აქვს პერსონალური ვერიფიკაციის პროცედურა;

1.9. **სესხი** - მსესხებლის მიერ ვებ-გვერდზე პირადი პროფილის (კაბინეტის) მეშვეობით შევსებული განაცხადით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მსესხებლისთვის მიცემული ფულადი თანხა სესხის ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.10. **განმეორებითი და შემდგომი სესხი** - მსესხებლის მიერ ვებ-გვერდზე პირადი პროფილის (კაბინეტის) მეშვეობით განმეორებით და შემდგომ შევსებული განაცხადით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მსესხებლისთვის მიცემული ფულადი თანხა სესხის ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.11. **სესხის ხელშეკრულება** – გამსესხებელსა და მსესხებელს შორის ელექტრონული ან სტან/დარტული ფორმით დადებული წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში - „სესხის ან/და კრედიტის ხელშეკრულება“ და მისი დანართები, ასევე სესხის განაცხადი და სესხის პირობები), რომელიც მოიცავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ასევე გამსესხებლის ვებ-გვერდზე განთავსებულ სახელშეკრულებო პირობებს და რომლის დადებაზე ნების გამოვლენაც მსესხებლის მიერ, მისი შინაარსის გაცნობის შემდგომ, ხდება ელექტრონულად სესხზე განაცხადის წარდგენით;

1.12. **ხელშეკრულების დადების შეთავაზება (მოწვევა ოფერტზე)** – გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის პირობების საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსება, ან/და მსესხებლისთვის პირად პროფილზე (კაბინეტში) ან/და სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებზე შესაბამისი ინფორმაციის გაგზავნა, რომელიც არ წარმოშობს გამსესხებლის ვალდებულებას მსესხებლის დაფინანსებაზე და ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით;

1.13. **ოფერტი** – მსესხებლის მიერ სესხის განაცხადის შევსება, რითაც დასტურდება მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულების გაცნობის და გამსესხებლის მიერ შეთავაზებულ სასესხო პირობებზე, ასევე განაცხადში განმცხადებლის/მსესხებლის მიერ გაკეთებულ განაცხადზე დათანხმების ფაქტი;

1.14. **აქცეპტი** – გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის შესახებ საპასუხო ნების გამოვლენა, რაც დაკავშირებულია გამსესხებლის მიერ მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვასთან (სესხის ხელშეკრულების დადებასთან). სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვის მომენტიდან;

1.15. **განმეორებითი და შემდგომი აქცეპტი** - მსესხებლის მიერ ვებ-გვერდზე პირადი პროფილის (კაბინეტის) მეშვეობით განმეორებითი და შემდგომი სესხის მიღების შესახებ განაცხადის შევსების შემდეგ გამსესხებლის მხრიდან დადებითი საპასუხო ნების გამოვლენა, რაც დაკავშირებულია მსესხებლის საბანკო ანგარიშზე განმეორებითი და შემდგომი სესხის თანხის გადარიცხვასთან (განმეორებითი და შემდგომი სესხის ხელშეკრულების დადებასთან). სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვის მომენტიდან;

1.16. **განაცხადი (შემდგომში „განაცხადი ან/და სესხის განაცხადი“)** – მსესხებლის პირად პროფილზე (კაბინეტში) განთავსებული განაცხადის ფორმა, რომელიც, მსესხებლის პერსონალურ და სხვა მონაცემებთან ერთად, შეიცავს მითითებას მსესხებლის მიერ მოთხოვნილი სესხის ოდენობის, სესხის ვადის, დასაბრუნებელი თანხის და სხვა ინფორმაციის შესახებ და, რომლის ელექტრონულად შევსება და დადასტურება სესხის პირობების და სასესხო ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით წარმოადგენს მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის გაკეთებულ ოფერტს (თანხმობას) სესხის მიღებაზე, წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებზე მიერთებაზე და მის დადებაზე;

1.17. **სპეციფიკური საფინანსო პროდუქტი** – კრედიტი, მათ შორის ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი, რომლის მთლიანი თანხა აღემატება 300 ლარს და ნაკლებია 200 000 ლარზე ან მის ექვივალენტზე სხვა ვალუტაში;

1.18. **სესხის/კრედიტის თანხა** – თანხა, რომელიც შეიძლება გაიცეს ან/და გაცემულია მსესხებელზე და, რომელიც ექვემდებარება ამ უკანასკნელის მიერ გამსესხებლისათვის დაბრუნებას სესხის პროდუქტის, სესხის განაცხადის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

1.19. **სესხის პროცენტი** - საკრედიტო პროდუქტით ან/და საკრედიტო ხელშეკრულებით/მისი თავსართით ან/და დანართით გათვალისწინებული ფიქსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი/სარგებელი განსაზღვრული პერიოდის მანძილზე, რომელიც ერიცხება კრედიტის თანხას კრედიტის გაცემის დღეს მთლიან საკრედიტო ვადაზე ან/და რომელიც ერიცხება კრედიტს საკრედიტო ვადის განმავლობაში ყოველდღიურად და რომლის გამსესხებლისთვის გადახდის ვალდებულებაც (სასყიდლის ფორმით) მსესხებელს წარმოეშობა სესხის თანხის მიღებისას ან/და მის დაბრუნებასთან ერთად. პროცენტის დარიცხვა (ასეთის არსებობისას) წარმოებს საკრედიტო ვადის განმავლობაში ყოველდღიურად წინასწარ ან/და საკრედიტო ვადის ბოლოს და მისი დარიცხვა იწყება სესხის ხელშეკრულების დადების შემდეგ საკრედიტო თანხის მსესხებლისთვის გადარიცხვის მომდევნო კალენდარული დღიდან;

1.20. **ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი** – ყველა სხვა ტიპის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც არ არის ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი;

1.21. **ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი** – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული;

1.22. **ფინანსური ხარჯი** – საკრედიტო პროდუქტით და საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია გამსესხებლის მიერ და წარმოადგენს მსესხებლის მიერ კრედიტის მიღების, შენარჩუნებისა და მისი სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს. ფინანსური ხარჯის გაანგარიშების წესი მოცემულია საკრედიტო პროდუქტში და

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის №151/04 ბრძანებაში „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განვებისა მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მე-12 მუხლში.

1.23. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი – კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი, მსესხებლის მიერ ამ ხარჯების განვების პერიოდის გათვალისწინებით, რაც მითითებულია ასევე ხელშეკრულებაში, მის დანართებში და თავსართებში, ასევე სასესხო პროდუქტში და განაცხადში;

1.24. სესხის გაცემის საკომისიო - სარგებელი, რომელიც ერიცხება სესხის თანხას სესხის გაცემის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, და რომლის გადახდის ვალდებულებაც მსესხებელს წარმოეშობა სესხის თანხის მის სახელზე გაცემისთანავე (გადმორიცხვისთანავე), და რომელიც გამსესხებელს შეუძლია უაქცეპტო წესით ჩამოჭრას სესხის თანხიდან სესხის გაცემისთანავე და მისი გამოკლებით სესხის თანხა გადარიცხოს მსესხებლის საბანკო ანგარიშზე ანდა გამსესხებელმა მისი გადახდა მსესხებელს მოსთხოვოს სესხის დაფარვის ვადის ბოლოს (სესხის პროდუქტის შესაბამისად);

1.25. პირგასამტეხლო – მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, რომელიც გამოიყენება მსესხებლის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და გადაიხდება მსესხებლის მიერ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების ან სასესხო პირობებით ან/და სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში. მხარეები აცნობიერებენ, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის გადახდის მიზნებისათვის, შესაძლებელია საჭირო გახდეს დარიცხული თანხის კორექტირება დამრგვალებით. დამრგვალება განხორციელდება სტანდარტული მათემატიკური პრინციპით, 0.01 ლარამდე, რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას;

1.26. სესხის რეფინანსირება - ახალი სესხით ძველი (მოქმედი) სესხის დავალიანების გადაფარა;

1.27. სესხის გადავადება (პროლონგაცია) - გამსესხებლის თანხმობისა და მსესხებლის მიერ გადავადების საფასურის/საკომისიოს გადახდის საფუძველზე მსესხებლის სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით (თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან).

1.28. ხელშეკრულების თავსართი – ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც წინ უსწრებს ხელშეკრულების ყველა სხვა ნაწილს/დებულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რომელშიც მითითებულია კრედიტთან დაკავშირებული ინფორმაცია. ხელშეკრულების თავსართის ნიმუშ(ებ)ი მოცემულია კრედიტორის ვებ-გვერდზე;

1.29. ხელშეკრულების დანართი - ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც არის ხელშეკრულების ყველა სხვა ნაწილი/დებულებების დამატება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და, რომელშიც მითითებულია კრედიტთან დაკავშირებული ინფორმაცია. ხელშეკრულების დანართის ნიმუშ(ებ)ი მოცემულია გამსესხებლის/კრედიტორის ვებ-გვერდზე, ასევე მსესხებლის პირად პროფილზე (კაბინეტში);

1.30. მსესხებლის საბანკო ანგარიში – ანგარიშსწორების ანგარიში (გახსნილი საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებში), რომლიდანაც ხორციელდება სესხის განაცხადის შევსების შემდეგ 0.01 ლარის გამსესხებლისთვის გადახდა, და რომელზეც გადაირიცხება სესხის თანხა გამსესხებლის მიერ მსესხებლის დაკრედიტების გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში; ასევე მსესხებლის საბანკო ანგარიში რომლის მონაცემების მეშვეობითაც ხდება მსესხებლის იდენტიფიცირება/ვერიფიცირების პროცესის დადასტურება, ან/და მსესხებლის საბანკო ანგარიში სს "სილქ როუდ ბანკში"(ს/ნ 201955027);

1.31. მსესხებლის თანხმობა სესხის მიღებაზე, მსესხებლის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია – მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადის შევსების შემდგომ გამსესხებლის ანგარიშზე სიმბოლური თანხის მინიმუმ 0.01 ლარის გადარიცხვის ოპერაციის (გარდა განმეორებითი და შემდგომი სესხის მიღებისას) შედეგად მიღებული ინფორმაციის შედარება განაცხადში მითითებულ ინფორმაციასთან, რომლის მიზანია მსესხებლისა და მისი ანგარიშსწორების ანგარიშის პირველადი იდენტიფიკაცია (გადამოწმება) და მსესხებლის თანხმობის დადასტურება სასესხო განაცხადთან სასესხო კონტრაქტთან და სასესხო პირობებთან მიერთების კუთხით; განმეორებითი და შემდგომი სესხის მიღებისას სესხის მიღებაზე და სასესხო პირობებზე მსესხებლის თანხმობის დადასტურებისთვის გამსესხებლის ანგარიშზე სიმბოლური თანხის მინიმუმ 0.01 ლარის გადარიცხვის ოპერაცია აღარ სრულდება და მსესხებლის თანხმობა სესხის მიღებაზე და მსესხებლის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია ხდება ვებ-გვერდზე მსესხებლის პირადი პროფილზე (კაბინეტში) გაკეთებული სესხის მიღებაზე განაცხადით, ამავე პროფილზე (კაბინეტში) გაცემული ელექტრონული თანხმობებით და სასესხო თანხის მსესხებლის ანგარიშზე გადარიცხვის ოპერაციით.

1.32. მიმდინარე დავალიანება – მსესხებლის მიერ გამსესხებლის წინაშე შესასრულებელი ფულადი ვალდებულება კონკრეტულ დროის შუალედში, რომელიც მოიცავს დაბრუნებას დაქვემდებარებულ სესხის თანხას, დარიცხულ პროცენტსა, საკომისიოს და პირგასამტეხლოს, სასესხო პროდუქტით და სასესხო ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი ხარჯების ჩათვლით;

1.33. სესხის დაბრუნების თარიღი – სესხის პროდუქტით სესხის თანხის დაბრუნების ვადის ბოლო დღე, როდესაც მსესხებელს გამსესხებლის მიმართ წარმოემობა აღებული სესხის თანხის, მასზე დარიცხული საკომისიოს, საპროცენტო სარგებლის უკან დაბრუნების ვალდებულება;

1.34. სესხის ვადა – გამსესხებლის ვებ-გვერდზე ან/და გამსესხებლის ვებ-გვერდზე მსესხებლის რეგისტრაციის შემდეგ მსესხებლის პირად პროფილზე (კაბინეტში) ან/და სესხის ხელშეკრულებაში, მის თავსართში ან/და დანართში მითითებული სესხის თანხის და პროცენტის, ასევე საკომისიოების დაბრუნების სტანდარტული ვადა, ასევე მსესხებლის სესხის განაცხადში მითითებული სესხის ვადა. სესხის ვადის ათვლა იწყება სესხის ხელშეკრულების დადების შემდეგ მსესხებლისთვის სესხის თანხის გადარიცხვის დღიდან;

1.35. იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პერსონალური კოდი (შემდგომში „პერსონალური კოდი ანდა სმს (SMS) კოდი“) – მსესხებლისათვის გამსესხებლის მიერ მინიჭებული უნიკალური კოდი, რომელიც გამოიყენება მსესხებლის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისათვის, კერძოდ: მსესხებლის პირადობის იდენტიფიცირებისათვის. პერსონალური კოდი წარმოადგენს სასესხო ურთიერთობის დადგენის, სესხის მაიდენტიფიცირებელ საშუალებას. განმეორებითი და შემდგომი სესხის მოთხოვნის შემთხვევაში მსესხებლის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია და სასესხო პირობებზე/სესხის ხელშეკრულებაზე თანხმობის დადასტურება ხდება ვებ-გვერდზე მსესხებლის პირადი პროფილიდან (კაბინეტიდან) გააქტიურებული განაცხადებით და ელექტრონულად მონიშნული თანხმობებით გამსესხებლის ანგარიშზე სიმბოლური თანხის (მინიმუმ 0.01 ლარის) გადარიცხვის გარეშე.

1.36. გარიგების იდენტიფიკაცია - მსესხებლის სასესხო განაცხადის შევსების შემდგომ გამსესხებლის ანგარიშზე სიმბოლური თანხის (მინიმუმ 0.01 ლარის) გადარიცხვა, ხოლო გამსესხებლის მიერ მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვა ან/და სხვა ფორმით მსესხებლისთვის სესხის თანხის მიცემა; ასევე განმეორებითი და შემდგომი სესხის მოთხოვნის შემთხვევაში მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადის შევსების საფუძველზე მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვა ან/და სხვა ფორმით მსესხებლისთვის სესხის თანხის მიცემა,

რომელიც სრულდება ვებ-გვერდზე მსესხებლის პირადი პროფილით (კაბინეტიდან) გააქტიურებული განაცხადებით და ელექტრონულად მონიშნული თანხმობებით, გამსესხებლის ანგარიშზე სიმბოლური თანხის (მინიმუმ 0.01 ლარის) გადარიცხვის გარეშე;

1.37. სასესხო ოპერაციის განხორციელება – ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ახორციელებს გამსესხებელი/კრედიტორი მსესხებლისთვის კრედიტის მიწოდებისას, მისივე შიდა პროცედურებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;

2.

ზოგადი დებულებები

2.1.

სასესხო განაცხადის შევსებით და წინამდებარე ხელშეკრულებით მსესხებელი ადასტურებს, რომ:

2.1.1. განაცხადი შედგენილია მისი ნების შესაბამისად;

2.1.2. განაცხადი შეიცავს მის მიერ „გამსესხებლისთვის“ გამჟღავნებულ პერსონალურ მონაცემებს;

2.1.3. დეტალურად გაეცნო „გამსესხებლის“ ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას სესხის პირობების შესახებ და ეთანხმება მათ, ასევე დეტალურად გაეცნო „გამსესხებლის“ ვებ-გვერდზე განთავსებულ სასესხო ხელშეკრულებას, მის დებულებებს, მის თავსართს და მის დანართს და შესწორებების გარეშე სრულად ეთანხმება და უერთდება მათ;

2.1.4. „გამსესხებლის“ წარმომადგენელთან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით დაადასტურა, რომ დეტალურად იცნობს „გამსესხებლის“ ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას სესხის პირობების შესახებ, ასევე დეტალურად იცნობს „გამსესხებლის“ ვებ-გვერდზე განთავსებულ სასესხო ხელშეკრულებას, მისი დებულებებს მის თავსართს და მის დანართს და შესწორებების გარეშე სრულად ეთანხმება და უერთდება მათ, ასევე დეტალურად იცნობს სესხის მნიშვნელოვან და სპეციალურ პირობებს და ეთანხმება მათ;

2.1.5. სასესხო განაცხადში მითითებული მონაცემების შემოწმების მიზნით ასევე სასესხო განაცხადის განხილვის/დაამუშავების და მსესხებლის დაკრედიტებაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით „გამსესხებელს“ მიანიჭა უფლებამოსილება, მოიპოვოს დაამუშავოს და შეინახოს მსესხებლის პერსონალური მონაცემები სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ასევე საჭიროებისას ან/და მსესხებლის მიმართ მოთხოვნის უფლების სხვა პირზე გადაცემისას გადასცეს ეს ინფორმაცია მოთხოვნის ახალ მფლობელს; ასევე დაამუშავოს/შეინახოს და გადასცეს ის პერსონალური მონაცემები რომელიც მითითებული იქნება სასესხო განაცხადში;

2.1.6. წინამდებარე დოკუმენტით გამსესხებელს „მსესხებელმა“ მივანიჭე უპირობო უფლება მოიძიოს ინფორმაცია ჩემს შესახებ სს „კრედიტინფო საქართველოს“ (ს/კ - 204470740) საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში და ასევე ჩემთან დამატებითი შეთანხმების გარეშე ჩემი როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური (ნეგატიური ინფორმაცია გადაეცემა ვადაგადაცილებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ - ფიზიკური პირების შემთხვევაში, ხოლო 60 დღის შემდეგ - იურიდიული პირების შემთხვევაში) ვალდებულების შესახებ ინფორმაცია გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“, რაც იწვევს ჩემს აღრიცხვას კრედიტინფო საქართველოს საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში, რომელის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, გადაამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადასახდელი/გადახდილი და გადაუხდელი სესხებისა და სხვა მიმდინარე, შესრულებული და შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან, ასევე ბაზაში არსებული ინფორმაციის ანალიტიკური გადაამუშავება კრედიტუნარიანობის

შეფასების მიზნებისთვის. კრედიტინფო საქართველოს, რომელიც წრამოადგენს საკრედიტო ბიუროს უფლება აქვს მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს/გადაამუშაოს და გადასცეს მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემოწმების მიზნით. „გამსესხებელს“ უფლება აქვს ჩემი კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შემოწმების, ჩემთვის მომსახურების განევისა და სხვა კანონიერი მიზნით, ძიებების რაოდენობის შეზღუდვად მოიძიოს ჩემს შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ისტორიის მონაცემთა ბაზაში და ასევე, გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია კრედიტინფო საქართველოს, ჩემს საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილებების/დამატებების შესახებ. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: ჩემს საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სასესხო/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგ, აგრეთვე ჩემი აქციონერებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს;

2.1.7. ჩემს დაკრედიტებაზე გადაწყვეტილების მისაღებად „გამსესხებელს“ ვანიჭებ უპირობო უფლებას, დამატებითი თანხმობის გარეშე გადაამოწმოს, მოიპოვოს დაამუშავოს და შეინახოს ჩემი პერსონალური მონაცემები სს „სილქნეტის“ს (ს/კ 204566978) სააბონენტო ბაზიდან, ასევე საჭიროებისას ან/და ჩემს მიმართ მოთხოვნის უფლების სხვა პირზე გადაცემისას გადასცეს ეს ინფორმაცია მესამე პირებს; სს „სილქნეტიდან“ გამოთხოვილ პერსონალურ მონაცემებს მიეკუთვნება შემდეგი მონაცემი: ანგარიშის N; პირადი ნომერი; აბონენტის სახელი/გვარი; საკონტაქტო ინფორმაცია; რეგიონი; მისამართი; სერვისი; ჯამური ვადაგადაცემა (ჯამური გათიშული დღეები); მიმდინარე ვადაგადაცემა (მიმდინარე გათიშული დღეები); სააბონენტო; კატეგორია; პირველი სერვისის ჩართვის დრო; ბოლო სერვისის ჩართვის დრო; დარიცხვა; 1 თვის საშუალო დარიცხვა; სხვაობა სააბონენტოსთან;

2.1.8. სესხის პირველადი განაცხადით დაფიქსირებული ინფორმაცია ნამდვილია, ამ განაცხადში დაფიქსირებული თანხმობები ნამდვილია და გაცნობიერებული აქვს მისი სამართლებრივი შედეგები, და მსესხებლის პირადი მონაცემების საბოლოო იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია დადასტურებული იქნება განმცხადებლის/მსესხებლის მიერ „გამსესხებლის“ საბანკო ანგარიშზე მინიმუმ 0.01 ლარის გადმორიცხვის ოპერაციით (გარდა განმეორებითი და შემდგომი სესხის განაცხადების შემთხვევებში),. შესაბამისად, ამ განაცხადებაში მითითებული მონაცემების, განმცხადებლის/მსესხებლის ნების ნამდვილობის და სასესხო ხელშეკრულების პირობებთან მისი მიერთება მოხდა მსესხებლის მიერ „გამსესხებლის“ ზემოხსენებულ საბანკო ანგარიშზე მინიმუმ 0.01 ლარის (გარდა განმეორებითი და შემდგომი სესხის განაცხადების შემთხვევებში)გადმორიცხვის ოპერაციით და ამას არ ხდის და არც მომავალში გახდის *სადავოდ*;

2.1.9. მსესხებლისთვის ცნობილია და გასაგებია „გამსესხებლის“ ზემოხსენებულ საბანკო ანგარიშზე 0.01 ლარის გადმორიცხვის მიზნობრიობა და მისი სამართლებრივი შედეგები; ასევე „გამსესხებელს“ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადის საფუძველზე „გამსესხებლის“ საბანკო ანგარიშზე გადმორიცხულ თანხაზე, 0.01 ლარზე, მოიპოვოს საკუთრების უფლება. ამასთან ერთად, მსესხებელმა გამსესხებელს მიაწვდინა უფლებამოსილება, გამსესხებელმა მოიპოვოს საკუთრების უფლება 0.01 ლარზე და ზედმეტად ჩარიცხულ თანხაზე, თუ მსესხებელი ამ თანხის ჩარიცხვიდან

30 კალენდარული დღის განმავლობაში არ მიმართავს გამსესხებელს მოთხოვნით 0.01 ლარის და ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნებაზე და არ შეასრულებს გამსესხებლის მიერ დადგენილ პროცედურას, ანუ, მსესხებელი არ მივა გამსესხებლის სერვისცენტრში და არ მიიღებს ამ თანხას.

2.1.10. სრულად აცნობიერებს „გამსესხებლისთვის“ გაკეთებული განაცხადით მცდარი ინფორმაციის მინოდებისთვის კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ და ფინანსურ პასუხისმგებლობას და იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცესის არასათანადოდ დასრულების შესაძლო შედეგს, რა შეიძლება გახდეს მსესხებლის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარების საფუძველი და სესხზე განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი;

2.1.11. სესხის გაცემაზე უარი არ გამოიწვევს გამსესხებლის ვალდებულებას ახსნას უარის საფუძველი და ასეთი სახის ინფორმაციის გაცემა დამოკიდებულია მხოლოდ „გამსესხებლის“ კეთილ ნებაზე;

2.1.12. გაკეთებული სასესხო განაცხადის ან/და „სესხის ხელშეკრულების“ ირგვლივ წამოჭრილ ნებისმიერ დავას მხარეები („გამსესხებელი“ და „განმცხადებელი/მსესხებელი“) წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავა განიხილება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

2.1.13. თანახმაა ყველა სახის ინფორმაცია მიიღოს სასესხო განაცხადში დაფიქსირებულ საკონტაქტო მისამართებზე ანდა მონყობილობებზე, ანდა ტელეფონის ნომრებზე;

2.1.14. არის სს „სილქნეტის“ აბონენტი ფიზიკური პირი, თუ აღნიშნულზე არის შესაბამისი ინფორმაცია;

2.1.15. გააჩნია სრული (შეუზღუდავი) ქმედუნარიანობა, სასესხო განაცხადის გაკეთებისას და სასესხო ხელშეკრულებასთან მიერთებისას არ იმყოფება ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ, არ იმყოფება შეცდომის, თაღლითობის, ზენოლის, მუქარისა ან ნებისმიერი სხვა მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ქვეშ და არ წარმოადგენს ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომაში შეყვანისა თუ სხვა აკრძალული მოქმედების ობიექტს გამსესხებლის ან ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან, სრულად აცნობიერებს საკუთარი ნების გამოვლენის შინაარსს და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს;

2.1.16. აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე და ითვლება საქართველოს რეზიდენტად საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

2.1.17. არ აქვს შეუსრულებელი ან ვადაგადაცილებული სასესხო ვალდებულებები გამსესხებლის ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ;

2.1.18. არ არის დარეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

2.1.19. არ გააჩნია უარყოფითი საკრედიტო ისტორია და არ არსებობს ისეთი ვალდებულებები, რომლებიც უარყოფითად აისახება მის გადახდისუნარიანობაზე;

2.1.20. გაეცნო ამ ხელშეკრულების პირობებს და ეს პირობები არის მისთვის მისაღები და უერთდება მათ შესწორებების გარეშე, ასევე იღებს ვალდებულებას სრულად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები;

2.1.21. მის მიერ წარმოდგენილი ყველა მონაცემი არის ზუსტი და უტყუარი.

2.2. მსესხებელი იღებს ვალდებულებას სასესხო განაცხადის დამუშავების და სასესხო ურთიერთობის დასრულებამდე იქონიოს აქტიური საბანკო ანგარიში საქართველოში მოქმედ მინიმუმ, იმ კომერციულ ბანკ(ებ)ში, რომელშიც საბანკო ანგარიში გააჩნია „გამსესხებელს“.

3.

სესხის განაცხადის განხილვა და სესხის გაცემა

3.1. სესხის გაცემაზე გადაწყვეტილების მისაღებად მსესხებელი გამსესხებლის ვებ-

გვერდის და პირადი პროფილის (კაბინეტის) გამოყენებით ან/და გამსესხებლის ტექნიკური მოწყობილობის საშუალების გამოყენებით, რომელიც დამონტაჟებულია მსესხებლის მოთხოვნით შესაბამის მისამართზე (თუ ეს მოწყობილობა იძლევა ამის საშუალებას) ავსებს სესხის განაცხადს, რომელშიც მითითებულია სასურველი სესხის ოდენობა, სესხის სარგებლობის ვადა და სესხის განაცხადით დადგენილი სავალდებულო ინფორმაცია.

3.2. განმცხადებელი/მსესხებელი მონაცემთა იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის, მიზნით ახდენს, გამსესხებლის ანგარიშზე სიმბოლური თანხის მინიმუმ 0.01 ლარის გადარიცხვას. განმეორებითი და შემდგომი სესხის აღებისას მსესხებლის თანხმობის დადასტურება ხდება მსესხებლის პირადი პროფილიდან (კაბინეტიდან).

3.3. იმ შემთხვევაში, თუ იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია დადებითად განხორციელდება მინიმუმ 0.01 ლარის გადარიცხვის მეშვეობით ხდება მსესხებლის პირველადი, განმეორებითი და შემდგომი განაცხადების დამუშავება.

3.4. იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის და თანხმობების დადასტურების პროცესის დასრულების შემდგომ გამსესხებელი იღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის ან/და არ გაცემის შესახებ. გამსესხებელი უფლებამოსილია, უარი თქვას სესხის გაცემაზე და აცნობოს ამის შესახებ მსესხებელს. გამსესხებელი არ არის ვალდებული დაასაბუთოს სესხის გაცემაზე უარის მიზეზ(ებ)ი.

3.5.

თუ მსესხებელი ავლენს სესხის ხელშეკრულების დადების ნებას, პირადი პროფილის მეშვეობით ავსებს სასესხო განაცხადს და გასცემს შესაბამის თანხმობებს და გამსესხებელი თანახმაა მსესხებელს მისცეს სესხი, იგი:

3.5.1. გასცემს სესხს მსესხებელზე და სასესხო თანხას რიცხავს მსესხებლის ანგარიშზე;

3.6. გამსესხებელი, სესხის გაცემის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას ახდენს, სესხის თანხის მსესხებლის იმავე ანგარიშზე გადარიცხვას საიდანაც ჩაირიცხა იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცესის გავლისთვის (გარიგების იდენტიფიკაციის) სიმბოლური თანხა. იმ შემთხვევაში, თუ სესხის გაცემა წარმოებს უკვე არსებული სასესხო დავალიანების დაფარვის (რეფინანსირების) მიზნით, ახალი სესხის თანხა ირიცხება კრედიტორის საბანკო ანგარიშზე მსესხებლის ძველი დავალიანების დაფარვის მიზნით, ხოლო ნამეტი თანხა (ასეთის არსებობისას, იმ შემთხვევაში, თუ ახალი სესხის მოცულობა აღემატება ძველი სესხის დავალიანებას) ირიცხება მსესხებლის, იმ საბანკო ანგარიშზე, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცესი. სესხის თანხის გადარიცხვის მომენტიდან სესხი გაცემულად ითვლება. სესხის გაცემის ინფორმაცია ასევე, შეიძლება მსესხებელს გაეგზავნოს დამატებით მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და განმცხადებლის მიერ სესხის განაცხადში დაფიქსირებულ ნებისმიერ საკომუნიკაციო საშუალებით.

3.7. მსესხებელს უფლება აქვს გამოიყენოს სესხის თანხა ნებისმიერი კანონიერი მიზნისათვის, ასევე ძველი სესხის დასაფარად.

3.8. გამსესხებელი უფლებას იტოვებს, ცალმხრივად მოახდინოს სესხზე დასარიცხი პროცენტის ან/და საკომისიოს შემცირება (დაგეგმილი აქციების ან სხვაგვარი სარეკლამო აქტივობების პერიოდში) და აღნიშნული ცვლილება არ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებას.

3.9. კრედიტის სპეციფიკური და სპეციალური პირობები მითითებულია ხელშეკრულების თავსართში და დანართში;

3.10. სესხის ხელშეკრულება, სესხის ხელშეკრულების თავსართი, სესხის ხელშეკრულების დანართი, მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვის დოკუმენტი, ასევე სესხის განაცხადი წარმოადგენს სესხის პირობების დეტალური ინფორმაციის ამსახველ დოკუმენტს და სასესხო გარიგების ნაწილს, რომლის მეშვეობითაც დასტურდება სასესხო გარიგების პირობები.

3.11. მსესხებლისთვის ცნობილია და გასაგებია „გამსესხებლის“ საბანკო ანგარიშზე მინიმუმ 0.01 ლარის გადმორიცხვის მიზნობრიობა და მისი სამართლებრივი შედეგები; ასევე მსესხებელმა გამსესხებელს მიანიჭა უფლებამოსილება, მოიპოვოს საკუთრების უფლება „გამსესხებლის“ საბანკო ანგარიშზე გადმორიცხულ 0.01 ლარზე ან/და ზედმეტად ჩარიცხულ თანხაზე, თუ მსესხებელი ამ თანხების ჩარიცხვიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში არ მიმართავს გამსესხებელს მოთხოვნით 0.01 ლარის ან/და ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნებაზე და არ შეასრულებს გამსესხებლის მიერ დადგენილ პროცედურას, ანუ, მსესხებელი არ მივა გამსესხებლის სერვისცენტრში და არ მიიღებს ამ თანხას;

4.

სესხის გადახდის პირობები

4.1. სესხის თანხის, სესხის პროცენტის (ასეთი არსებობისას) და სესხის გაცემასთან დაკავშირებული საკომისიოები მსესხებლის მიერ გადაიხდება სესხის სპეციალური პირობების (სესხის ხელშეკრულების დანართის) შესაბამისად. ამასთან, მსესხებლის მიერ სესხის ვადამდე დაფარვის შემთხვევაში სესხის სრულად გადახდის დღეს. აღნიშნული წესი შეიძლება შეიცვალოს გამსესხებლის გადანყვეტილების საფუძველზე. ცვლილებამდე 30 კალენდარული დღით ადრე უნდა გაეგზავნოს შესაბამისი შეტყობინება მსესხებელს.

4.2. თუ გადახდის დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, გადახდის დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო სამუშაო დღე.

4.3. გადახდები ხორციელდება გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის/შეტანის გზით შესაბამისი დანიშნულების და პერსონალური კოდის მითითებით. მსესხებლის ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის დაფარვის მიზნობრიობით ჩარიცხვის მომენტიდან.

4.4. გადახდები ხორციელდება ეროვნული ვალუტაში. სხვა ვალუტით გადახდის შემთხვევაში მსესხებლის ვალდებულება გამსესხებლის წინაშე შესრულებულად არ ჩაითვლება, ხოლო განსხვავებული ვალუტით ჩარიცხული თანხა უკან დაუბრუნდება მსესხებელს, უკან გადარიცხვასთან (დაბრუნებასთან) დაკავშირებული საბანკო ხარჯების გამოკლებით. ამასთან, დაუშვებელია გამსესხებლისთვის აღნიშნულ თანხაზე გამსესხებლის მფლობელობაში ყოფნის გამო რაიმე სახის სარგებლის მოთხოვნა.

4.5. სესხზე მსესხებლის გადახდების იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის მიზნით, მსესხებელი ვალდებულია, მიუთითოს სესხის თანხის გადახდის დოკუმენტში მინიმუმ მსესხებლისთვის მინიჭებული პერსონალური კოდი.

4.6. თუ გამსესხებელი იღებს გადახდას, რომლის ამოცნობა შეუძლებელია (პერსონალური კოდის მიუთითებლობის ან/და „4.5.“ პუნქტში დადგენილი იდენტიფიკატორების არქონის გამო), ამოცნობის მომენტამდე მსესხებლის ვალდებულება გამსესხებლის წინაშე შესრულებულად არ ჩაითვლება და გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელს დააკისროს პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

4.7.

მსესხებლის მიერ გადახდილი თანხებით პირველ რიგში იფარება:

4.7.1. პირგასამტეხლო/ჯარიმა;

4.7.2. სესხის გაცემის საკომისო;

4.7.3. დარიცხული პროცენტი (ასეთის არსებობისას);

4.7.4. სესხის ძირითადი თანხა.

4.8. თუ გადახდილი თანხები საკმარისი არ არის სესხის თანხის სრულად დასაფარად, შეუსრულებელ ნაწილში გრძელდება პირგასამტეხლოს დაკისრება. მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას სესხის დაფარვის გემოაღნიშნულ რიგითობაზე.

4.9. სესხი დაფარულად ჩაითვლება და სასესხო ურთიერთობა წყდება (ვალდებულების სრულად შესრულებით) გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის

თანხის, საკომისიოს, მასზე დარიცხული პროცენტის, პირგასამტეხლოსა და ასანაზღაურებელი სხვა ხარჯების შესაბამისი თანხის (არსებობის შემთხვევაში) სრულად ჩარიცხვის შემთხვევაში. თანხის ნაწილობრივი გადახდა არ ითვლება ვალდებულების შესრულებად და შეუსრულებელ ნაწილში გრძელდება პირგასამტეხლოს დარიცხვა.

4.10. მსესხებელი უფლებამოსილია მოახდინოს სესხის ვადამდე სრულად დაფარვა. სესხის ვადამდე სრულად დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელი იხდის სესხის თანხას და სესხის დაბრუნების დღისთვის დადგენილ სრულ დავალიანებას. მსესხებელი არ არის ვალდებული, აცნობოს გამსესხებელს წერილობით ან სხვა ფორმით სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შესახებ. ასეთი გადახდა ადასტურებს მსესხებლის სურვილს, განახორციელოს სესხის გადახდა წინსწერბით ვადაზე ადრე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ხდება თანხის გამსესხებლისთვის ჩარიცხვა.

5.

სესხის გადავადება

5.1. გამსესხებლის თანხმობის შემთხვევაში მსესხებელს შეუძლია სასესხო პროდუქტის შესაბამისად ისარგებლოს სესხის გადავადების (სესხის დაფარვის ვადის გაგრძელების) შესაძლებლობით, რისთვისაც გადავადებამდე მსესხებელმა გამსესხებელს უნდა აცნობოს გადავადების უფლების გამოყენების შესახებ, უნდა გადაიხადოს სესხის გადავადების საკომისიო, რომლის ოდენობაც მითითებულია სესხის პროდუქტში, სესხის ხელშეკრულების სპეციალურ და სპეციფიკურ პირობებში.

5.2. სესხის გადავადების საფასურის გადახდის და გამსესხებლის თანხმობის საფუძველზე სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება შესაძლებელია ყოველ ჯერზე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით, თუ სესხის ხელშეკრულების სპეციალურ პირობაში სხვა რამ არაა მითითებული. გადავადებების შესაძლებლობის ჯერადობა დადგენილია სესხის პროდუქტით, რომლის პირობებიც განთავსებულია გამსესხებლის ვებ-გვერდზე.

5.3. მხარეები შევთანხმდით შემდეგ პირობაზე, რომ, თუ მსესხებელი ხელშეკრულების გაფორმების დღეს არის სს „სილქნეტის“ აბონენტი, ამ სესხის ფარგლებში დადგენილი გადავადების საკომისიო ფორმირებულია ლოიალობის პროგრამის ფარგლებში და იგი სტანდარტული გადავადების საკომისიოზე ნაკლებია. ამასთან ერთად, მხარეები შევთანხმდით, რომ ამ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, თუ გამოვლინდება, რომ მსესხებელი აღარ არის სს „სილქნეტის“ აბონენტი, ბანკს ავტომატურად ენიჭება უფლებამოსილება ამ ხელშეკრულებაში/ მის დანართებში / თავსართში და სხვა დოკუმენტებში მითითებული გადავადების საკომისიოს განაკვეთი გაზარდოს +0.5%-ით. აღნიშნული წარმოადგენს უფლებას და არა ბანკის ვალდებულებას, რაც გულისხმობს იმას, რომ განაკვეთის ცვლილება არაა ბანკის ვალდებულება.

6.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

6.1. გამსესხებელი უფლებამოსილია დაამუშავოს მსესხებლის მონაცემები (შეგროვება, შენახვა, აღრიცხვა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვ.), ასევე, გადასცეს მესამე პირს და მიიღოს მისგან მსესხებელზე ინფორმაცია, სესხის გაცემის პროცედურის უზრუნველსაყოფად და სესხზე მოთხოვნის უფლების სხვა კრედიტორისთვის გადაცემის მიზნით.

6.2.

მესამე პირს შეიძლება ინფორმაცია გადაეცეს:

- 6.2.1. სესხზე მოთხოვნის უფლებით გაყიდვის შემთხვევაში;
- 6.2.2. მაკონტროლებელ საზედამხედველო ორგანოებს;
- 6.2.3. გამსესხებლის ფინანსური აუდიტის კომპანიას;
- 6.2.4. გამსესხებლის კრედიტორებს;
- 6.2.5. კანონის მოთხოვნის საფუძველზე;

6.2.6. სესხის გაპრობლემების შემდეგ (ვადაგადაცილების დაფიქსირებისას) პრობლემური სესხების ამოღების გარე კომპანიებს/პარტნიორებს;

6.2.7. საპროცესინგო ან სხვა მესამე პირს, რომელიც გადახდის პროცესინგს უზრუნველყოფს, რაც აგრეთვე აუცილებელია ამ მომსახურების გასაწევად.

6.3. სესხის ხელშეკრულებაზე დათანხმებით მსესხებელი ეთანხმება, რომ მისთვის სათანადო მომსახურების განწვევის მიზნით, გამსესხებლის საოპერაციო საქმიანობის, სესხის დაბრუნების/ამოღების მიზნებისათვის შესაძლოა მსესხებლის პირადი მონაცემები, გარდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მონოდებული ინფორმაციისა, გამჟღავნებული იქნას გამსესხებლის შიდა პერსონალთან შეზღუდვის გარეშე, მათ შორის გამსესხებლის ჯგუფში შემავალ კომპანიებთან. ამასთან, გამსესხებელი უფლებამოსილია, მსესხებლის შესახებ ინფორმაცია გადასცეს „გამსესხებლის“ ჯგუფში შემავალ კომპანიებს მათი საოპერაციო საქმიანობის სრულყოფის, მათ მიერ სესხის გაცემაზე ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების, სესხის დაბრუნების, მსესხებლის გადახდისუნარიანობის დადგენის მიზნებისთვის იმ მოცულობით, რაც აუცილებელი იქნება ამ პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

6.4.

ამ ხელშეკრულებით მსესხებელი აცხადებს უპირობო თანხმობას, რომ:

6.4.1. წინამდებარე დოკუმენტით გამსესხებელს მიანიჭა უპირობო უფლება მოიძიოს ინფორმაცია მის შესახებ სს „კრედიტინფო საქართველოს“ (ს/კ - 204470740) საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში და ასევე მასთან დამატებითი შეთანხმების გარეშე მისი როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური (ნეგატიური ინფორმაცია გადაეცემა ვადაგადაცილებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ - ფიზიკური პირების შემთხვევაში, ხოლო 60 დღის შემდეგ - იურიდიული პირების შემთხვევაში) ვალდებულების შესახებ ინფორმაცია გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“, რაც იწვევს მსესხებლის აღრიცხვას კრედიტინფო საქართველოს საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში, რომელის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადასახდელი/გადახდილი და გადაუხდელი სესხებისა და სხვა მიმდინარე, შესრულებული და შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან, ასევე ბაზაში არსებული ინფორმაციის ანალიტიკური გადამუშავება კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნებისთვის. კრედიტინფო საქართველოს, რომელიც წრამოადგენს საკრედიტო ბიუროს უფლება აქვს მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს/გადაამუშაოს და გადასცეს მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემოწმების მიზნით. „გამსესხებელს“ უფლება აქვს მსესხებლის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შემოწმების, მისთვის მომსახურების განწვევისა და სხვა კანონიერი მიზნით, ძიებების რაოდენობის შეზღუდავად მოიძიოს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ისტორიის მონაცემთა ბაზაში და ასევე, გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია კრედიტინფო საქართველოს, მსესხებლის საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილებების/დამატებების შესახებ. გადასაცემი ინფორმაცია, ყივლეგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სასესხო/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგ, აგრეთვე მსესხებლის წარმომადგენლობაზე

უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს;

6.4.2. გამსესხებელმა სესხის განაცხადის დამუშავების პროცესის წარმოების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მოიძიოს და გადაამოწმოს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია ნებისმიერი რეესტრიდან და მონაცემთა ბაზიდან, მათ შორის: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან;

6.4.3. ჩემს დაკრედიტებაზე გადაწყვეტილების მისაღებად „გამსესხებელს“ ვანიჭებ უფლებამოსილებას, დამატებითი თანხმობის გარეშე გადაამოწმოს, მოიპოვოს და დამუშავოს და შეინახოს ჩემი პერსონალური მონაცემები სს „სილქნეტის“ს (ს/კ204566978) სააბონენტო ბაზიდან, ასევე საჭიროებისას ანდა ჩემს მიმართ მოთხოვნის უფლების სხვა პირზე გადაცემისას გადასცეს ეს ინფორმაცია მესამე პირებს; სს „სილქნეტიდან“ გამოთხოვილ პერსონალურ მონაცემებს მიეკუთვნება შემდეგი მონაცემი: ანგარიშის N; პირადი ნომერი; აბონენტის სახელი/გვარი; საკონტაქტო ინფორმაცია; რეგიონი; მისამართი; სერვისი; ჯამური ვადაგადაცემა (ჯამური გათიშული დღეები); მიმდინარე ვადაგადაცემა (მიმდინარე გათიშული დღეები); სააბონენტო; კატეგორია; პირველი სერვისის ჩართვის დრო; ბოლო სერვისის ჩართვის დრო; დარიცხვა; 1 თვის საშუალო დარიცხვა; სხვაობა სააბონენტოსთან;

6.4.4. მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გამსესხებელმა მსესხებლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირებს. გამსესხებელი ამ მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებას განახორციელებს იმ ფარგლებში, რაშიც აღნიშნული აუცილებელია გამსესხებლის სამენარმეო ინტერესების დასაცავად;

6.4.5. გამსესხებელმა მსესხებლის მიერ მონოდებული საკონტაქტო ნომრები გადასცეს „კომპანიას“ სარეკლამო-საინფორმაციო SMS მომსახურების განხორციელების მიზნით.

6.5. მსესხებელი აცხადებს თანხმობას იმასთან დაკავშირებით, რომ გამსესხებელმა ნებისმიერ დროს მსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, (გარდა სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციისა) მათ შორის პერსონალური მონაცემები, მისი (მსესხებლის) საკრედიტო ისტორია, ასევე ინფორმაცია გადახდილ თანხებზე, მიმდინარე ვალდებულებებზე, შეუსრულებელ ვალდებულებებზე, ასევე ინფორმაცია დაკავშირებული კლიენტის მიერ განხორციელებულ გადახდებთან და, ასევე, დამტკიცებულ ან უარყოფილ სასესხო განაცხადებთან გადასცეს სს „სილქ როუდ ბანკის“ (ს/კ 201955027) დამფუძნებელთა ჯგუფში შემავალ კომპანიებს (შემდგომ „კომპანია“) შემდეგი მიზნებისთვის: კომპანიის საოპერაციო საქმიანობის გაუმჯობესება, კომპანიის მიერ საკრედიტო რისკების შეფასება, სესხის გაცემასთან დაკავშირებით კომპანიის მიერ ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება, სესხის დაბრუნება, კომპანიის მიერ თაღლითობის ფაქტ(ებ)ის აღმოჩენა და თავიდან აცილება, კომპანიის მიერ მსესხებლის გადახდისუნარიანობის დადგენა და მონაცემთა ანალიზი. გამსესხებელი „კომპანიას“ ინფორმაციას გადასცემს, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აღნიშნული აუცილებელია ამ მუხლით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. გამსესხებელი, მსესხებლის მიერ მინოდებული სესხის განაცხადის დამუშავების, ასევე მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მდგომარეობის ასახვის, მათ შორის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გამსესხებლის მიერ თავისი უფლებ(ებ)ის დაცვის, მსესხებლის გადახდისუნარიანობის, ასევე მსესხებლის საკრედიტო ისტორიის დადგენის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, იმ ფარგლებში, რაშიც აღნიშნული

აუცილებელია გამსესხებლის სამენარმო ინტერესების დასაცავად, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოიძიოს/გადაამოწმოს მსესხებლის მიერ მითითებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი, მათ შორის პერსონალური ინფორმაცია, „კომპანიის“ მონაცემთა ბაზაში;

6.6. გამსესხებელი უფლებამოსილია ამ მუხლით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მსესხებელთან ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე, ნებისმიერ დროს, მსესხებლის შესახებ ინფორმაცია, გადასცეს „კომპანიას“. ამასთან, მსესხებელი აცნობიერებს, რომ აღნიშნული ინვესტორს მსესხებლის აღრიცხვას „კომპანიის“ მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია სესხთან დაკავშირებული მონაცემების მართვა, მიმოცვლა, შეგროვება, დამუშავება და გავრცელება, რომლებიც მიღებულია სხვადასხვა პროვაიდერებისგან, გამოიყენება მოსარგებლეების მიერ, საქმიანობის ფარგლებში, პირის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად და პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილების მისაღებად;

6.7. გამსესხებელმა სესხის დაფარვის/სესხის გადავადების პროცედურის გამარტივების მიზნით, მსესხებლის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები გადასცეს პირებს, რომელთა საშუალებითაც სესხის ან/და მსესხებლის პირადი ნომრის მითითების საფუძველზე მსესხებელი სხვადასხვა საგადახდო არხის საშუალებით მიიღებს ინფორმაციას დასაფარი ვალდებულების და/ან სესხის გადავადების საფასურის ოდენობის თაობაზე. ამასთან, გამსესხებელი პასუხს არ აგებს მესამე პირის მიერ სწრაფი გადახდის აპარატის და სხვა საგადახდო არხების მეშვეობით მსესხებლის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეყვანის შემთხვევაში მსესხებლის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე;

6.8. მესამე პირის მიერ მსესხებლის სასესხო ვალდებულებების შესრულების მიზნით გამსესხებელმა მსესხებლის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია მიმდინარე ვადაგადაცილების თაობაზე გადასცეს, იმ მესამე პირებს, რომლებიც გამსესხებელთან ზეპირი ან წერილობითი ფორმით დააფიქსირებენ მზადყოფნას მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების თაობაზე;

6.9. გამსესხებელმა მის აუდიტორებს, კონსულტანტებს და მრჩეველებს საჭიროების შესაბამისად უფლებამოსილია გადასცეს მსესხებლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად იმ პირობით, რომ აღნიშნული პირები თავის მხრივ დაიცავენ ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

6.10. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შებლუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში – სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს.

6.11. მსესხებელი ვალდებულია დაფაროს აღებული სესხი, სესხის ხელშეკრულების დანართში, თავფურცელში და მის საფუძველზე გაფორმებულ დოკუმენტებში მითითებულ ვადაში.

7.

პასუხისმგებლობა

7.1. მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა ინვესტორს წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

7.2. მსესხებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებაში მოცემული ყველა პირობა და სრულიად აცნობიერებს გადახდების შეყოვნებასთან დაკავშირებულ შედეგებს.

7.3. მსესხებელი პასუხს აგებს გამსესხებლის წინაშე ხელშეკრულებაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტეზე და სისრულეზე, სესხის განაცხადში მითითებულ ან/და

გამსესხებლის ვებ-გვერდზე მის მიერ შეყვანილი ინფორმაციის სიზუსტეზე, ყველა იმ ინფორმაციის სიზუსტეზე, რომელიც მან გამსესხებელს მიაწოდა ხელშეკრულების დადებამდე ან/და დადებისას, დადებამდე ან დადების შემდგომ.

7.4. სესხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელს დაარიცხოს ყოველდღიური ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სასესხო პროდუქტით გათვალისწინებული ოდენობის, და სესხის სპეციფიკური პირობების შესაბამისად. ვადის გადაცილებისათვის დაკისრებული თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის დაფარვის ვალდებულებებისაგან.

7.5. გამსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მსესხებელს შესთავაზოს სესხის დაფარვის ე.წ. ინდივიდუალური გრაფიკი, ან/და ახალი სესხი, რომლის პირობებზეც მსესხებელი და გამსესხებელი შეთანხმდებიან დამატებით იგივე ფორმით როგორც შეთანხმდნენ აქამდე. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, აქვე დაზუსტებულია, რომ ინდივიდუალური გრაფიკის შემოთავაზება და ახალი სესხის შეთავაზება წარმოადგენს გამსესხებლის დისკრეციულ უფლებას და არა ვალდებულებას და მსესხებელს არ შეუძლია მოსთხოვოს გამსესხებელს ასეთი უფლების განხორციელება.

7.6. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევით გამომწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამომწვეულია ფორსმაჟორული გარემოებით.

7.7. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

8.

ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1.

გამსესხებელს შეუძლია ცალმხრივად ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

8.1.1. მსესხებელი არღვევს სასესხო ხელშეკრულების პირობებს;

8.1.2. მსესხებელი აგვიანებს სესხის გადახდას დათქმული ვადების გადაცილებით 15 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს;

8.1.3. გამსესხებლისათვის ცნობილი ხდება, რომ მსესხებლის მიმართ მიმდინარეობს სამართალწარმოება, რომლის შესაბამისად მსესხებელს შესაძლებელია დაეკისროს მატერიალური ხასიათის ვალდებულება იმ მოცულობის, რომ მსესხებელმა ვეღარ შეძლოს გამსესხებლის მიმართ არსებული სასესხო დავალიანების დაფარვა, ან მსესხებელი მოხვდა მოვალეთა რეესტრში და მისი ვალი აღემატება სესხის თანხას;

8.1.4. გამსესხებლისათვის ცნობილი ხდება, რომ ხელშეკრულების დადებისას მსესხებელმა მას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია;

8.1.5. მსესხებელი გახდა გადახდისუუნარო;

8.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია, პირველი მოთხოვნისთანავე გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა, დარიცხული პროცენტისა და არსებობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ჩათვლით.

9.

მსესხებლის ვალდებულება მისი საკონტაქტო მონაცემების ცვლილებისას

9.1. მსესხებელი ვალდებულია: სასესხო განაცხადში მითითებული საკონტაქტო მონაცემების (იურიდიული ან/და ფაქტიური ან/და ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო ნომრის) ცვლილების შემთხვევაში, წერილობითი განცხადების მეშვეობით აცნობოს გამსესხებელს ახალი საკონტაქტო მონაცემები. ასეთი განცხადების გამსესხებლისთვის წარუდგენლობის შემთხვევაში, გამსესხებელი ყველა შეტყობინებას ან/და გზავნილს (გაფრთხილება, შეტყობინება, მიმართვა და სხვა

დოკუმენტი), რაც განკუთვნილია მსესხებლისთვის, აგზავნის განაცხადში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე, ხოლო ახალი საკონტაქტო მონაცემის შესახებ განცხადების წარდგენის შემთხვევაში ახალ საკონტაქტო მისამართზე.

9.2. მხარეები შევთანხმდით, რომ გამსესხებლის მიერ მსესხებლის მისამართით გაგზავნილი ყველა შეტყობინება ან/და გზავნილი (გაფრთხილება, შეტყობინება, მიმართვა და სხვა დოკუმენტი) მსესხებლის მიერ მიღებულად (ჩაბარებულად) ითვლება სასესხო განაცხადში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე ან/და საკონტაქტო მისამართის ცვლილების განცხადებაში მითითებულ მისამართზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაგზავნისას.

9.3. მხარეები ასევე შევთანხმდით, რომ, იმ შემთხვევებში, თუ მსესხებელი ფაქტიურად აღარ იმყოფება სასესხო განაცხადში მითითებულ მისამართზე და სხვა ახალი საკონტაქტო მისამართის შესახებ გამსესხებელთან არ წარუდგენია წერილობითი განცხადება ახალი საკონტაქტო მისამართის შესახებ, გამსესხებლისგან გაგზავნილი შეტყობინება ან/და გზავნილი (გაფრთხილება, შეტყობინება, მიმართვა და სხვა დოკუმენტი) ითვლება მსესხებლის მიერ ჩაბარებულად.

9.4. შეტყობინების ჩაბარების მიზნებისათვის უფლებამოსილ პირად ითვლება ნებისმიერი პირი მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის თუ არა უშუალოდ მსესხებელს ან მისი ოჯახის წევრს. ამ პირისთვის შეტყობინების გადაცემა ითვლება მსესხებლისთვის შეტყობინების ჩაბარებად.

9.5. მსესხებელი ადასტურებს, რომ თანახმაა გამსესხებელთან ელექტრონული ფორმით სესხის ხელშეკრულების დადების შემდგომ მიიღოს ანგარიშსწორება და მიმოწერა ელექტრონულად, დოკუმენტაციაზე პირდაპირი მექანიკური გზით ხელმოწერის გარეშე. მსესხებელი ინფორმირებულია, რომ გამსესხებლის მიერ წარდგენილი ანგარიში ატარებს საინფორმაციო ხასიათს და მისი მიუღებლობა არ გულისხმობს სესხის თანხის, გადასახდელი პროცენტის ან პირგასამტეხლოს გადაუხდელობას.

9.6. თუ იცვლება მსესხებლის მიერ მითითებული ანგარიში ან ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ გამსესხებელს და მიაწოდოს ყველა შეცვლილი ინფორმაცია.

9.7. თუ გამსესხებელმა მსესხებელს მის მიერ მითითებულ საცხოვრებელ ან/და ელექტრონულ საფოსტო მისამართზე ან/და მობილურის ტელეფონის ნომერზე გაუგზავნა შეტყობინებები ვადაგადაცილების შესახებ ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა შეკვეთილი წერილები, მას აქვს უფლება მოითხოვოს მსესხებლისგან განუული ხარჯების ანაზღაურება, მაგრამ არაუმეტეს 10 ლარისა ერთი წერილისათვის.

9.8. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებელი აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ გამსესხებელმა გადასცეს მსესხებლის ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია საფოსტო საკურიერო სამსახურებს მათ შორის შპს „საქართველოს ფოსტა“-ს (ს/კ 203836233) შესაბამისი შეტყობინების მიწოდების მიზნებისათვის.

9.9. გამსესხებელი პასუხს არ აგებს მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით დამდგარი შედეგის გამო.

10.

უფლებამონაცვლობა

10.1. მსესხებელი თანახმაა, ხოლო გამსესხებელი უფლებამოსილია, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს, მათ შორის, შესაბამისად მოთხოვნების და უფლებების მესამე პირისთვის, მათ შორის, ამ პუნქტში დასახელებული პირისთვის გადაცემისას არაა საჭირო მსესხებლის რაიმე დამატებითი თანხმობის მოპოვება. მსესხებლისთვის მისაღებია ამ პუნქტის დებულება.

10.2. მხარეები შევთანხმდით, რომ მსესხებელი, გამსესხებლის წერილობითი

თანხმობის გარეშე, არ არის უფლებამოსილი ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები გადასცეს ან ვალდებულებები გადააკისროს სხვა პირს.

10.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე.

11.

დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 11 ნაწილის საფუძველზე.

11.3. მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად განსაზღვრულია საქართველო, ქ. თბილისი.

12.

უზრუნველყოფა

12.1. ხელშეკრულებით (მისი დანართებითა და დამატებებით) გათვალისწინებული მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება უზრუნველყოფილია მსესხებლის მთელი ქონებით;

12.2. მსესხებლის მიერ გამსესხებლის წინაშე აღებული ვალდებულებების ნებისმიერი ნაწილობრივი ან მთლიანი დარღვევა, ან დავალიანების არსებობის შემთხვევაში სხვა საფუძველებით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა გამსესხებელს აძლევს საფუძველს, გამოიყენოს ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად არსებული აქტივები მათი რეალიზაციის უფლებით, რომლიდანაც მიღებული თანხებით დაიფარება მსესხებლის სრული ან ნაწილობრივი დავალიანება ამოღებული თანხის ოდენობით. მსესხებლის დავალიანების დაფარვის წყაროს ასევე წარმოადგენს, მსესხებლის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები თუ აღნიშნულზე წვდომა გააჩნია „გამსესხებელს“.

13.

სხვა პირობები

13.1. დავალიანებული თანხის ამოღების შემთხვევაში ამოღების ხარჯებს ფარავს მსესხებელი, რაზეც მსესხებელი არის თანახმა.

13.2. მხარეები შევთანხმდით, რომ მსესხებლის პირადი პროფილიდან (კაბინეტიდან) წარმოებული ოპერაციები შესრულებული იქნება პირადად მსესხებლის მიერ, პირადი პროფილის გამოყენება მოხდება მხოლოდ მსესხებლის მიერ და სხვა პირებს არ ექნებათ ამ პროფილზე წვდომის უფლება. მსესხებლის პირადი პროფილიდან შემოსული განცხადებები, თანხმობები და დავალებები გაცემული იქნება მხოლოდ მსესხებლის მიერ.

13.3. მსესხებელი ადასტურებს, რომ მსესხებლის პირადი პროფილიდან შემოსული ყველა განცხადება, თანხმობა და შემოთავაზება გაკეთებულია მსესხებლის მიერ და სადავოს არ გახდის მის შინაარსს და გარიგების ნამდვილობას.

13.4. უფლებამოსილია, მიმართოს გამსესხებელს და მიიღოს გამსესხებლის ხელმოწერით დადასტურებული ხელშეკრულება.

13.5. მსესხებელი ადასტურებს, რომ გამსესხებელმა უზრუნველყო მსესხებლისათვის საკრედიტო პროდუქტის პირობების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, წინასწარ ცნობილი და მის ხელთ არსებული სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება. მათ შორის, საკრედიტო პროდუქტის ვებ-გვერდის მეშვეობით შეთავაზებისას ასევე მსესხებლის განაცხადის შევსებამდე და შევსებისას ამავე არხით სასესხო პროდუქტის შეთავაზებისას ხელშეკრულების გაფორმებამდე, რომელიც მსესხებელს არ უბიძგებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის

ფლობის პირობებში.

13.6. მსესხებელი ადასტურებს, რომ იგი სასესხო პროდუქტის პირობებს, მათ შორის სესხის განაცხადს, სესხის ხელშეკრულებას, სესხის ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს, სესხის ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებს და სესხთან დაკავშირებულ ინფორმაციას გაეცნო წერილობითი ელექტრონული ფორმით გამსესხებლის ვებ-გვერდზე და მას აღარ ესაჭიროებოდა გამსესხებელთან ამ გარიგების დადების გადანყვეტილების მიღებისთვის ინფორმაციის ზეპირი ფორმით მიღება თუმცა მას ეს საშუალება გააჩნდა.

13.7. მხარეები აღიარებენ, რომ საკრედიტო პირობებზე და პროდუქტზე შეთანხმდნენ დისტანციურად, მათ შორის, ელექტრონული არხებით მათ შორის გამსესხებლის ვებ-გვერდის მეშვეობით. მხარეები ასევე ადასტურებენ, რომ ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, გამსესხებელმა/კრედიტორმა უზრუნველყო მის მიერ მსესხებლისთვის მიწოდებული ინფორმაციის მსესხებლის მხრიდან მიღების და გაცნობის, ასევე შეთავაზებულ პირობებზე თანხმობის დადასტურება ვებ-გვერდზე განთავსებული და ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და თანხმობის დადასტურების შემდეგ ძალაში შევიდა შეთანხმებული პირობები. პროდუქტის დისტანციურად შეთანხმებული პირობების შეცვლისას ყველა ასეთი ცვლილება, მსესხებლის მიერ მოთხოვნის დაფიქსირებისას ხელმისაწვდომი იქნება მსესხებლისთვის ნებისმიერი ფორმით გამსესხებლის/კრედიტორის სისტემის ტექნიკური მოწყობის შესაძლებლობების ფარგლებში. კრედიტორი მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ყოველგვარი დამატებითი ხარჯისა და საკომისიოს გარეშე, მისცემს მას წვდომას მასთან არსებულ სასესხო პროდუქტებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, მინიმუმ ერთი დისტანციური არხის (ინტერნეტი, ინტერნეტბანკი, მობილური ტელეფონი ან მობაილბანკი) საშუალებით კრედიტორის სისტემის ტექნიკური მოწყობის ფარგლებში.

13.8. მსესხებელი ადასტურებს, რომ მსესხებელმა მიიღო ინფორმაცია სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების და სავალუტო რისკის შესახებ (იმაზე, თუ მსესხებელს შემოსავლები კრედიტის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში აქვს). ამასთანავე, აღნიშნულ რისკებზე ინფორმაციის მიწოდება განხორციელდა ელექტრონული არხებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ასევე ვერბალურადაც, სასესხო პროდუქტის შეთავაზებისას და ამ პროდუქტთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებამდეც.

13.9. მსესხებელი ადასტურებს, რომ იცნობს კრედიტორთან პრეტენზიის წარდგენის ფორმებს, პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის არხები ხელმისაწვდომია მისთვის, იცნობს მაქსიმალურ ვადას პასუხის მიღებისათვის თითოეული ფორმით გამოხატულ პრეტენზიაზე, ასევე იცნობს პრეტენზიების განხილვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მექანიზმებს.

13.10. მხარეები შევთანხმდით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს განმცხადებლის/მსესხებლის სასესხო განაცხადი, სესხის პროდუქტის აღწერილობა, სესხის ხელშეკრულების დანართი და თავსართი და სესხის გაცემასთან დაკავშირებული მატერიალური ან/და ელექტრონული სხვა დოკუმენტაცია.

13.11. ანცობიერებს, რომ აღნიშნული ხელშეკრულების პირობები შესაძლოა პერიოდულად განახლდეს გამსესხებლის მიერ, შესაბამისად, პირობების განახლების შემდეგ ყოველი სესხის აღების ფაქტი ჩაითვლება განახლებულ პირობებზე მსესხებლის მიერ გამოხატულ თანხმობად.

13.12. მხარეები ვუერთდებით წინამდებარე ხელშეკრულებას, სასესხო განაცხადს, გამსესხებლის ვებ-გვერდზე განთავსებულ სასესხო პროდუქტს და სესხის გაცემასთან დაკავშირებულ ელექტრონულ და მატერიალურ დოკუმენტაციას. მხარეები ასევე შევთანხმდით, რომ ელექტრონულ დოკუმენტაციას გააჩნია მატერიალური დოკუმენტაციის მსგავსი იურიდიული ძალა.

კრედიტის სპეციალური და სპეციფიკური პირობები

14.1. მითითებულია სესხის ხელშეკრულებაში, მის თავსართში და დანართში და საკრედიტო პროდუქტის პირობებში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15.

ხელშეკრულების დანართები და თავსართი

15.1. სესხის განაცხადი;

15.2. ხელშეკრულების თავსართი (სესხის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები);

15.3. ხელშეკრულების დანართი (სესხის ხელშეკრულების სპეციალური პირობები);

15.4. სესხის თანხის გადახდის დოკუმენტი.

15.5. თანხმობა კრედიტინფოდან მონაცემების მოპოვების და გადაცემის შესახებ;

15.6. თანხმობა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან პერსონალური ინფორმაციის მოპოვებაზე

სესხის/კრედიტის ხელშეკრულების სპეციალური პირობები N . დანართი

კრედიტის პირობები.

- | | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1.1. კრედიტით სარგებლობის ვადა
გამსესხებლის მიერ მსესხებლის ანგარიშზე
კრედიტის თანხის გადარიცხვის დღიდან | • 30 (ოცდაათი)
კალენდარული დღე |
| 1.2. საკრედიტო თანხის მთლიანი მოცულობა | • ლარი |
| 1.3. მსესხებლის ანგარიშზე გადასარიცხი თანხის
სრული ოდენობა | • ლარი |
| 1.4. კრედიტის თანხის მიღების პერიოდულობა | • ერთჯერადად |
| 1.5. კრედიტის მსესხებლის ანგარიშზე გადარიცხვის
საერთო რაოდენობა | • ერთჯერადი |
| 1.6. წლიური საპროცენტო განაკვეთი | • 0 % |
| 1.7. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი | • 49.8 % |
| 1.8. კრედიტის მიზნობრიობა | • სამომხმარებლო |
| 1.9. კრედიტის დასაფარად შენატანების ოდენობა /
სიხშირე / შენატანების განხორციელების
მაქსიმალური ვადები / საერთო რაოდენობა | • კრედიტის ვადის ბოლოს
ერთჯერადად ანდა
კრედიტის ვადიანობაში
დაფარვების თარიღები
დამოკიდებულია |

კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები

- | | |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------|
| 1.10. კრედიტის გაცემის საკომისიო | • ლარი |
| 1.11. კრედიტის 30 დღით გადავადების საკომისიო | • ძირი თანხის 3.38% |
| 1.12. სადამღვევო ხარჯი (ასეთის არსებობისას) | • 0 ლარი |
| 1.13. სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში მსესხებლის შესახებ პერსონალური მონაცემების გადამოწმების ღირებულება | • 0 ლარი |
| 1.14. სს სილქნეტის სააბონენტო ბაზაში მსესხებლის (აბონენტის) შესახებ ინფორმაციის გადამოწმების ღირებულება | • 0 ლარი |
| 1.15. კრედიტინფოში მსესხებლის საკრედიტო ისტორიის შემოწმების საფასური | • 0 ლარი |
| 1.16. კრედიტის თანხის განაღდების საკომისიო კრედიტორის სერვის ცენტრებში | • 0 ლარი |

კრედიტის შენარჩუნებასთან და დაფარვასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები

- | | |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1.17. კრედიტის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო | • 0 ლარი |
| 1.18. ინფორმაცია ფინანსური ხარჯების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში | • კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში მონაწილეობს შემდეგი ქვეპუნქტები: 1.1; 1.2; 1.6; 1.9; 1.10; 1.12; 1.13; 1.14; 1.15; 1.16; |
| 1.19. კრედიტის ვადის ბოლოს დასაფარი კრედიტის თანხა (ძირს+გაცემის საკომისიო) კრედიტორის გადახდის არხებში | • ლარი |
| 1.20. ვადაგადაცილებულ სესხზე (ძირზე) ბანკის სასარგებლოდ დასარიცხი ყოველდღიური პირგასამტეხლო | • 0.27% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე |
| 1.21. მსესხებლის უფლება კრედიტის წინასწარ | • გააჩნია |

დაფარვაზე

1.22. მსესხებლის მიერ კრედიტის წინასწარ დაფარვის უფლების გამოყენების შემთხვევისას (ასეთი უფლების არსებობისას), წინსწრებით დაფარულ თანხებზე ბანკის სასარგებლოდ დასარიცხი პროცენტი (ხარჯი)

• **0 ლარი**